განათლებული კლასი, როგორც ცვლადი, ანუ ისტორიის დაგვიანებული დასასრულის დასაწყისი რუსეთში

THE EDUCATED CLASS AS A VARIABLE. THE BEGINNING OF THE BELATED END OF HISTORY IN RUSSIA

დავით დარჩიაშვილი
რუსეთის კვლევის ცენტრის დირექტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

David Darchiashvli
Director of the Center for Russian Studies. Professor at Ilia State University

Summary

The author underlines that an interaction between the ruling class and the so-called educated class is one of the most important variables in the political processes. No ruler can survive for long without justifications of his rule and behavior, without ideologemes to serve him. Educated class, and, in the Russian case, intelligentsia as its vital part, is needed for the production, support, and dissemination of that very ideological realm of power. Since the establishment of the Russian empire through its Soviet and post-Soviet surrogates, such ruling class-educated class cooperation has always been taking place. Even rebellious intelligentsia, in the form of radicals, revolutionaries, or dissidents, by and large, were supportive of imperialism in one form or another. The current war in Ukraine is dramatically changing this formula. Never ever in history was the Russian educated class so tired and scared of the imperial agenda. It feeds the hope that the days of the Russian empire are counted.

თუ, სტანისლავ ბელკოვსკის კვალობაზე, ცივი ომის პერიოდსაც მსოფლიო ომად მივიჩნევთ,[1] ახლა შეიძლება მეოთხე (ჰიბრიდულ) ომზეც ვისაუბროთ. ბელკოვსკისათვის გლობალური დაპირისპირებანი მსოფლიო ომების ტოლფასია, რადგან ომის კრიტერიუმი მოწინააღმდეგის პოლიტიკური განადგურების მცდელობაა და არა ამ პროცესში დაღუპულთა რაოდენობა. როდესაც პოპულარული რუსი ანალიტიკოსი და პუბლიცისტი ამ თეზისს ავითარებდა, უკრაინაში რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენცია ჯერ არ იყო მომხდარი. ჰოდა, მით უმეტეს ახლა, როდესაც უკრაინელები ევრო-ამერიკული იარაღით იბრძვიან, რუსებს კი ისე გაუჭირდათ, რომ შეიარაღებას ჩრდილოეთ კორეასა და ირანში ეძებენ, გლობალურ ომზე საუბარი კიდევ უფრო ლოგიკურია. თან ეს დაპირისპირება გასცდა ეგრეთ წოდებული ჰიბრიდული ომის ფაზას, რომელშიც, საექსპერტო განმარტებების

1 Oct 30, 2017 Станислав Белковский – «Четвертая мировая война. Последний выход для постколониального мира». Встреча в интеллектуальном клубе «Светлана Алексиевич приглашает...» с одним из самых цитируемых и эпатажных российских политологов и экспертов. 18 января 2017 года. https://www.youtube.com/watch?v=nW6Ei3z3t8I (20.01.2023)

თანახმად, მთავარი საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციები, საბოტაჟი თუ ეკონომიკური სანქციებია, სამხედროთა მოქმედება კი სამშვიდობო ოპერაციების იარლიყის ქვეშ ინიღბება.

ახლა რომ რეგიონში ომია, ეს უეჭველია. მაგრამ ინტერპრეტაციის საკითხია, თუ მერამდენეა იგი და რა მასშტაბის. რეალობის ასახვის ჩემი ვერსია ისაა, რომ მიუხედავად ჩინეთის გეოპოლიტიკური და ინდოეთის მერკანტილური სენტიმენტებისა, რაც მათ პუტინის რეჟიმის ადვოკატირების თუ არაპირდაპირი დახმარებისაკენ უბიძგებს ხოლმე, რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაშია და ამის მიზეზი თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების კულტურიდან ამოვარდნაა. მისი ოფიციალური დისკურსი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ალუზიებით იხუნძლება (რისი მაგალითიცაა პროპაგანდირებული ლოზუნგი „можем повторить"), ანაქრონიზმია. ნათქვამს არა მხოლოდ და არა იმდენად ევრო-ამერიკული სანქციები ადასტურებს, რამდენადაც ის, რომ რუსულ ინტელექტუალურ წრეებში ომი არასოდეს ყოფილა ასე არაპოპულარული. ომის დაგმობა, უფრო მეტი გაბედულების შემთხვევაში კი, აგრესიის მსხვერპლი უკრაინის მიმართ სიმპათიის გამოჩენა, რუსეთში თანდათან კარგ ტონად იქცევა და ესეც არნახული სიახლეა.

შესაბამისად, თუ მიმდინარე მოვლენებს მაინცდამაინც მსოფლიო ომის რანგში ავიყვანთ, უნდა დავამატოთ, რომ პირველად ისტორიაში, ერთ-ერთ მეომარ მხარეს აკლია იდეოლოგიური შემართება. მას უნდა ქმნიდნენ შემოქმედებითი და აკადემიური წრეების წამყვანი ფიგურები, ანუ იგივე ინტელიგენცია ან/და განათლებული კლასი. ასე იყო ყველა წინა ომში. მაგრამ ახლა, იმის ნაცვლად, რომ, როგორც ეს 1914 თუ 1941-1945 წლებში ხდებოდა, რუსულ მაღალ კულტურას სულის შემძვრელი პატრიოტული ნაწარმოებები შეექმნა, არსებითად, საზოგადოება სლეპაკოვის ირონიული ბალადის შემყურედ დარჩა.[2] ამას ვერ გადაფარავს ხელისუფლების მიერ დაკვეთილი ისეთი კიჩური მოვლენები, როგორიც იყო წითელ მოედანზე ორგანიზებულ თავყრილობაზე მღვდელი/მსახიობი ივან ოხლობისტინის მიერ ივანე მრისხანეს „ოპრიჩნიკთა" შეძახილით ხალხის აღგზნების მცდელობა.[3]

ომი იმდენადვეა მატერიალური, რამდენადაც იდეური მოვლენა. რაციონალურ კალკულაციებსა თუ სამხედრო შესაძლებლობებს ირაციონალური მუხტი უნდა უმაგრებდეს ზურგს. სწორედ ეს აკლია დღევანდელ რუსეთს და ამით, ანუ უკრაინასთან ომის სრული არაადეკვატურობის განცდითაა იგი უფრო განწირული, ვიდრე ძალთა თანაფარდობით. სხვათა შორის, არაადეკვატურობის განცდა, რომელსაც რუსეთის საზოგადოებაში კრემლის საგარეო პოლიტიკა იწვევს, მთლად დღევანდელი ფენომენი არაა. 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებელ ერთეულებად გამოცხადება ასევე გამაოგნებელი იყო არა მხოლოდ თბილისსა თუ ვაშინგტონში, არამედ კრემლის მიღმიერ მოსკოვის პოლიტიკურ წრეებშიც. მაგრამ მისი მასშტაბი განგაშის ზარების შემოსაკრავად არასაკმარისი აღმოჩნდა. შემდეგ იყო ყირიმის უსისხლო შემოერთების ეიფორია, რომელიც რუსეთის განათლებულ კლასშიც არ აღმოჩნდა ცალსახად ნეგატიურად აღქმული და მარტო ერთეულებმა თუ გაბედეს რომანტიკული ისტორიოსოფიის წინააღმდეგ საჯაროდ წასვლა. მაშინ, ანუ 2014 წელს, ნიკოლოზ პირველის დროინდელმა იმპერიულმა იდეამ თითქოს საბოლოოდ გაიმარჯვა. მაგრამ ზმანებებიდან თავის დაღწევის პროცესმა არ დააყოვნა და 2022 წლის 24 თებერვალს კულმინაციას მიაღწია.

2 Слепаков – НЕТ ВОБЛЕ, 14.10.2022. https://www.youtube.com/watch?v=8Q_YfcpgdGU (20.01.2023)

3 GOIDA! Russians advocate for dialogue and reason! Ivan Okhlobystin, 01.10.2022. https://www.youtube.com/watch?v=FMECmLXXPrs (20.01.2023)

ამ ფენომენის, ანუ რუსულ საზოგადოებაში იმპერიის თუ იმპერიული ომების დევალვაციის, მიზეზი ორ სიბრტყეზეა საძიებელი: ა) საერთაშორისო კულტურული კონტექსტი სრულიად შეცვლილია არა მხოლოდ მე-19 საუკუნესთან შედარებით, როდესაც რუსული იმპერიის იდეა ზენიტში იყო, არამედ მისი სტალინური სუროგატის ეპოქასთან შედარებითაც კი; ბ) როგორც უკვე ვთქვი, უკრაინაში პუტინის ღია სამხედრო ინტერვენციამ შოკში ჩააგდო რუსეთის განათლებული კლასის დიდი ნაწილი. იგი ძნელად ეგუებოდა საშინაო რეპრესიებს, მაგრამ ეს რუსული ინტელიგენციის ტრადიციულ მდგომარეობას წარმოადგენდა. პარალელურად, კრემლის საგარეოპოლიტიკური ამბიციები შედარებით სუსტ კრიტიკას თუ იმსახურებდა მოსკოვის, პეტერბურგის თუ სხვა რამდენიმე ინტელექტუალური ცენტრის წარმომადგენელთაგან. 2022 წლის 24 თებერვალი რუსეთის ისტორიაში არნახული საზოგადოებრივი გამოღვიძების მიზეზი გახდა.

მიმაჩნია, რომ ეს პროცესი შეუქცევადია: რუსეთის ოფიციოზი ვერ შეძლებს მოერიოს თანამედროვე საერთაშორისო სამართალს, რომელიც ზემოთ ნახსენები უსაფრთხოების გლობალური კულტურის ქვაკუთხედია. ამავე დროს, და ამავე მიზეზით, იგი ვერც რუსული საზოგადოებრივი კულტურის ლიბერალურ ნაკადს დაამარცხებს, რომელიც პირველად და, მიმაჩნია, სამუდამოდ ემიჯნება იმპერიალიზმის იდეას.

გასაგებია, რომ გარეშე ზედაპირულ დამკვირვებელს პირველ რიგში თვალში რუსული პროპაგანდისტული არხების მესიჯები ხვდება. ამას ემატება ფართომასშტაბიანი ომის დაწყებისთანავე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებიც, რომელთა თანახმად, პუტინის სამხედრო ავანტიურის მხარდაჭერა 50%-ს ბევრად აღემატებოდა. რუსული მილიტარიზმი, რაც მასების დონეზეც თვალსაჩინოა და მედია საშუალებებიდანაც 24 საათის განმავლობაში იღვრებოდა და იღვრება, მოინათლა, როგორც ახალი კვაზიიდეოლოგიური ფენომენი – „რაშიზმი“ – რაც ასევე მრავლისმეტყველია. მაშ, რაღაშია დამაიმედებელი ნიშნები? ეგებ რუსული საზოგადოების ტრანსფორმაციულ პოტენციალზე საუბარი სასურველის რეალობად წარმოჩენის მცდელობაა და ფუჭია?

ამგვარ კითხვებზე პასუხად იმის თქმაა შესაძლებელიც და აუცილებელიც, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიებით და ოფიციალური მოწოდებებით დაუსრულებელი მართვა შეუძლებელია, თუ მმართველის წინააღმდეგ აღიმართება როგორც საერთაშორისო თანამეგობრობა, ისე ამ უკანასკნელთან კოოპერაციის აუცილებლობის გამაცნობიერებელი საკუთარი საზოგადოების თუნდაც მცირე, მაგრამ იდეურად და კულტურულად წამყვანი ნაწილი. ეს რომ ასეა, რეტროსპექტული ანალიზით დასტურდება: 1917 წელსაც კი, როდესაც ცარიზმი დაემხო და ხალხთა თვითგამორკვევის იდეა ამერიკის პრეზიდენტმა საერთაშორისო ურთიერთობების ქვაკუთხედად გამოაცხადა, განმანათლებლობის ტრადიციაზე აღზრდილი რუსული ლიბერალური თუ სოციალისტური მოძრაობების სულისჩამდგმელთა უმეტესობაც არ და ვერ ელეოდა იმპერიულ საზღვრებს. რუსეთის რესპუბლიკის შექმნა და პირველი რუსული დემოკრატიული ექსპერიმენტი სწორედ მათი დამსახურებაა, მაგრამ მათთვისაც პროგრესი იმპერიული სხეულის შენარჩუნებასთან იყო ასოცირებული. აღარაფერს ვამბობ იმჟამინდელი რუსეთის ინტელექტუალურ ცხოვრებაში სლავოფილებისა და მომავალი ევრაზიელების მძლავრ ნაკადზე. სწორედ ამ კულტურულ-პოლიტიკური მემკვიდრეობის გაცოცხლებას ცდილობდა, არცთუ წარუმატებლად, ელცინის, შემდეგ კი პუტინის დროინდელი აკადემიური ისტებლიშმენტი. მაგრამ უკრაინულმა ავანტიურამ ყველაფერი შეცვალა და ჩამოშალა. იმპერიულ ალუზიებს აშკარად აუვიდა ნაფტალინისა და გვამის სუნი. დღეს რუსეთში იმპერიის შენარჩუნებაზე მხოლოდ ტერმინალურ კრიზისში

შესული ოფიციოზი ან გირკინი-დუგინის მსგავსი რადიკალი მარგინალები თუ ოცნებობენ. ეს კი რუსული პოლიტიკური კლასის უმნიშვნელოვანესი და უპრეცედენტო განხეთქილების ნიშანია.

იმპერია განწირულია, მათ შორის იმიტომაც, რომ მან განათლებული კლასების მხარდაჭერა დაკარგა. ელიტების კლასიკოსი თეორეტიკოსი, გაეტანო მოსკა ამბობდა, რომ მართვას პროგრესული და რეალიზებადი დოქტრინა სჭირდება. მე დავამატებდი, რომ იდეის პროგრესულობა-რეალიზებადობის საზომი ინტელექტუალთა მხარდაჭერაა. პუტინს სწორედ ეს მხარდაჭერა აქვს დაკარგული, რასაც კონსპიროლოგების, მედროვეების ან რადიკალების დახმარებით ვერ დააბალანსირებს.

ნამდვილად არ ვთვლი, რომ ეს ადვილია და რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ლიბერალიზმის და იმპერიალიზმის დაცილება, ისევე როგორც პირველის მეორეზე გამარჯვება, უკვე შემდგარი ფაქტია. ასეთის შემთხვევაში ზარბაზნები დადუმდებოდა და ყირიმში, მინიმუმ, საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის მომსწრენი ვიქნებოდით. წინამდებარე წერილით მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ გარდატეხა მომხდარია – სერგეი მედვედევის მეტაფორით რომ ვთქვათ, რუსული ლევიათანის დღეები დათვლილია. ნათქვამის დასასაბუთებლად ქვემოთ გთავაზობთ იმპერიული იდეის გენეზისის კულმინაციისა და დღეს მისი კვდომის თეზისურ სურათს, რომელიც ბოლო ორასიოდე წლის რიგი ინტელექტუალური ტექსტების მიმოხილვას ეყრდნობა.

რუსული იმპერიალიზმი არ ყოფილა მხოლოდ ხელისუფალთა აკვიატების ან გაუმაძღრობის შედეგი. დაპყრობით ომებს რეფლექსია და გამართლება სჭირდება. ანუ აუცილებელია იმპერიის ერთგვარი რაციონალიზაცია, რომელიც შემდეგ დიდსა და პატარას უნდა გაუსიგრძეგანდეს პროპაგანდა-ინდოქტრინაციის ნაირფერი საშუალებებით. ალბათ, იგივე ითქმის სხვა პატარა თუ დიდ ისტორიულ იმპერიებზეც. მაგრამ რუსეთის მაგალითი განსაკუთრებულია, რადგან გლობალურად რეზონირებს, ძალიან ხანგრძლივია და 21-ე საუკუნეშიც შემოაბიჯა.

ფილოლოგები და ისტორიკოსები, ალბათ, გააგრძელებენ დავას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავდა ფსკოველი ბერ-მონაზონი ფილოფეის სიტყვები, რომ მოსკოვი მესამე რომია და მეოთხე არ იქნება. ამას იგი მოსკოვის დიდ მთავარს, ვასილ მესამეს, 1514-1521 წლებს შორის სწერდა. თუ ამ სიტყვებს იდეოლოგიურ ფორმულად მივიღებთ და იმ ფაქტთან დავაკავშირებთ, რომ მოსკოვის მთავრების ტიტულატურაში ამ დროსვე მკვიდრდება ტერმინი Царь, რომლის ეტიმოლოგიური ბმა კაიზერ/კეისართან ეჭვგარეშეა, ჩნდება ცდუნება, რომ რუსეთის იმპერიული ამბიციები მე-16 საუკუნიდან ავითვალოთ. თუმცა შუა საუკუნეების ადამიანთა ლოგიკის გაგება არც ისე მარტივია – დიდია ანაქრონიზმის რისკი. ეგება და ფილოფეის მართლაც არაფერი ადარდებდა, წმინდა საეკლესიო საკითხების გარდა: დიდ მთავარს მხოლოდ კარგ მართლმადიდებლობას სთხოვდა, რომ მოსკოვური „რომიც“ ისე არ დამხობილიყო, როგორც ლათინთაგან და ოსმალთაგან „წარყვნილი“ პირველი და მეორე „რომები“, რადგან უფალი მეოთხე შანსს აღარავის მისცემდა? მაგრამ თანდათანობით, განსაკუთრებით კი მოდერნული იმპერიალიზმის ხანაში, ფილოფეის ფორმულა სწორედაც რომ რუსეთის ექსპანსიონისტური მისიის დასაბუთებად იქნა გამოყენებული და დღესაც, დუგინის თუ პუტინი-კოვალჩუკების მიერ, იგი ამდაგვარად გაიგება.

ოღონდ ვითარება იცვლება და ამის კატალიზატორი უკრაინაა. 2022 წლის 24 თებერვალმა გადატრიალება არა მარტო ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურაში, არამედ რუსულ საზოგადოებრივ აზროვნებაშიც მოახდინა. ეს გადატრიალება ჯერ თითქოს არ

იძლევა შედეგს, მაგრამ ასე იყო გალილეო გალილეის თუ ისააკ ნიუტონის შემთხვევაშიც: მათი აღმოჩენებიდან პოზიტივიზმის საუკუნის მასობრივად დადგომამდე დრო უნდა გასულიყო. ან ჯონ ლოკიდან და იმანუილ კანტიდან ევროპულ დემოკრატიებამდე იყო საჭირო ხანი. ახლა კი გლობალიზაციაა და ყველაფერი ბევრად აჩქარებულია. ჰაიმარსები ველზე აკეთებს თავის საქმეს – აკავებს რუსულ იმპერიულ არმიას, ფიზიკურად შლის მას. მაგრამ ეს უკვე ზომბების არმიაა. ცოცხალი რუსები სრულიად სხვანაირად ფიქრობენ და მომავალიც მათ, არაიმპერიალისტებს (იმპერიალიზმიდან განკურნებულებს), ეკუთვნით – მიუხედავად ძალიან გრძელი და ღრმად გამჯდარი არა მხოლოდ ტერიტორიული, არამედ მენტალურ-კულტურული იმპერიული მემკვიდრეობისა.

***

აქ არ დავიწყებ რუსეთის იმპერიული ფესვების ძიებას მართვის ბიზანტიურ ან მონღოლურ ტრადიციაში, რომლებსაც მრავალი მკვლევარი უყურებდა, როგორც იმავე ბოლშევიკური ტოტალიტარიზმის პოლიტიკურ ფესვებს. ამ ესეის ფოკუსი იმაზეა, თუ რა იყო რუსული ინტელიგენციის/განათლებული კლასის დამოკიდებულება ეროვნული იდენტობის, ევროპისა და სახელმწიფო საზღვრების მიმართ. ამ წრის აღნიშნულ საკითხებზე ნაფიქრი ქმნიდა რუსულ დისკურსს და მსგავსი რამ, სრული სახით, მე-19 საუკუნეში გაიშალა. სწორედ მაშინ, მოდერნული იმპერიალიზმისა და ნაციონალიზმის პარადოქსულად გადაჯაჭვულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ გარემოში ისახებოდა რუსული პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რომელმაც, არსებითად, ტყვეობა შესთავაზა მეზობელ პატარა ერებს, რუს ერს კი „ხალხთა საპყრობილის“ მეცხოვნეთა როლი მიაკუთვნა. კიდევ ერთი პარადოქსი ის იყო, რომ მაშინდელი რუსული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც, გარკვეულწილად, შეიძლება კომუნისტური ეპოქის დისიდენტებსაც შევადაროთ, თითქმის ერთხმად მიიჩნევდნენ რუს ხალხსაც სახელმწიფოსაგან დამონებულად, მაგრამ „დიდი რუსეთის“ იდეას კი არ თმობდნენ.

ამ იდეის ფორმირებაში განსაკუთრებული წვლილი საიმპერატორო კართან დაახლოვებულმა ისტორიკოსმა ნიკოლაი კარამზინმა შეიტანა. რუსი პოეტების მამა, ალექსანდრე პუშკინი, მის „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიას“ უნიკალურს უწოდებდა, რომელიც რუსულ ლიტერატურას შეეძლო სიამაყით წარედგინა ევროპისათვის (Luzianina 1971). თავად განმანათლებლობის იდეებზე აღზრდილი კარამზინის აზრთა მდინარება აჩვენებდა, რომ რუსული ლიბერალისტური სენტიმენტები იმპერიის სიდიადით აღტაცების ზღვართან სრულდებოდა. მას შეიძლება მოეთხოვა ევროპეიზმი, ადამიანური მოპყრობა ყმა-გლეხებისადმი მემამულეებისაგან, დაეგმო ივანე მრისხანეს სისასტიკე, მაგრამ იქვე უნდა გაელაშქრა პოლონელთა სამოქალაქო უფლებების წინააღმდეგ და გაემართლებინა „რუთენიული მიწების“ ანექსირება, რადგან „კიევი რუსული ქალაქების დედა იყო“. პუშკინმა კი ყოველივე ეს სლავური ნაკადულების რუსულ ზღვაში ჩაღვრისათვის ბრძოლის მეტაფორულ ხატებაში გამოაქანდაკა.[4]

სწორედ ეს იყო პერიოდი, როდესაც კიევის, მოსკოვისა და ამ ქალაქების ირგვლივ განლაგებული სხვადასხვა სლავური თუ უგრულ-ფინური და ბალტური ტომების ისტორიის ნაწყვეტები იმ მკაცრ ინტერპრეტაციად აიკინძა, რომელმაც რუსეთის იდეოლოგი-

4 Пушкин, Александр. 1831. Клеветникам России. https://www.culture.ru/poems/4966/klevetnikam-rossii (20.01.2023)

ზირებული და დღემდე ცოცხალი ხატი დადო. ბოლო დრომდე მას ეთაყვანებოდა ყველა ის რუსი, ვისაც წიგნი უყვარდა და პატრიოტიზმის განცდა ჰქონდა. საინტერესოა, რომ პუშკინის ამ ლექსით აღფრთოვანდა სხვაფრივ ევროპისა და კათოლიციზმის აპოლოგეტი პეტრე ჩაადაევი. იმპერიისგან შერისხული და (პირველად რუსული რეპრესიების ისტორიაში) ოფიციოზის მიერ გიჟად შერაცხული ეს ფილოსოფოსი აგრეთვე წერდა, რომ იმპერიად ყოფნა რუსეთის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო; რომ პოლონელებს „მათი რუსი ძმების“ ბედი უნდა გაეზიარებინათ, თუ არ სურდათ გერმანელთა ხელში ჩავარდნა.

ამ ისტორიული მნიშვნელობის სამეულის ხატება, რომელიც, ალბათ, მაინც არაა რუსული იმპერიალისტური აზრის ყველაზე უფრო აგრესიული და ქსენოფობიური გამოვლინება, კიდევ ერთ არსებით საკითხს უკავშირდება: ესაა თავად ინტელიგენციის რაობა და ადგილი რუსულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დისკურსში. ზოგადად რომ პოლიტიკოსს მეცნიერი, ფილოსოფოსი თუ პოეტი სჭირდება, ამაზე ზემოთაც მქონდა საუბარი. ინტელიგენციის თემა კი „მეფისა და პოეტის“ რუსული სპეციფიკის დამდგენია. პოლონურის გავლით შემოსული ეს გერმანული სიტყვა რუსეთში არაერთ ინტერპრეტაციას დაექვემდებარა. საინტერესოა, რომ 1909 წელს გამოცემულ კრებულ „Вехи“-ში, რომელიც რუსეთის ბედისწერაში რუსული ინტელიგენციის ადგილის ძიებას ეძღვნებოდა, ერთ-ერთი იმჟამინდელი აზრთამპყრობელი, პიოტრ სტრუვე, წერდა, რომ ინტელიგენცია არაა უბრალოდ „განათლებული კლასი“ – იგი ანტისისტემური, ოფიციალურ სტრუქტურებთან დაპირისპირებული და, არსებითად, რევოლუციურია.

კოლინზის ლექსიკონის თანახმად, ტერმინის განსაზღვრება უფრო ფართოა – ინტელიგენცია იმ ყველაზე განათლებულთა ერთობაა, ვისაც ფილოსოფია, ხელოვნება და პოლიტიკა აინტერესებს.[5] ისევ რუსულ განმარტებებს თუ დავუბრუნდებით, ვერ ავუვალთ ამ საქმეში ბესარიონ ბელინსკის წვლილს. ზემოთ ნახსენები კრებულის ავტორები (მაგალითად, ნიკოლოზ ბერდიაევი) მას რუსული ინტელიგენციის მამად მიიჩნევდნენ. ამ ტრადიციით, თუნდაც ბელინსკიდან, ანუ მე-19 საუკუნის 30-40-იანი წლებიდან მოყოლებული, ინტელიგენტის ფუნქციად საზოგადოებრივ წყლულთა განკურნებაზე უანგარო ზრუნვა ჩაითვალა. ასე ესმოდა უშუალოდ ბესარიონ ბელინსკის, მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის დანიშნულება. სხვათა შორის, ეს იყო სწორედ ბელინსკის მიერ შექმნილ ინტელექტუალურ ატმოსფეროსა თუ დისკურსში ჩამოყალიბებული ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის კრედოც. ოღონდ ილიასთან ინტელიგენტის ფუნქცია გაიგება კონკრეტულად ქართველი ერის რუსულ-იმპერიული სიზმრებიდან გამოღვიძების ვალდებულების კონტექსტში, რისი დასტურიცაა 1860 წელს დაწერილი მისი ლექსი „პოეტი“.

ზემოთ ნახსენებ სამებას ასე თუ შევხედავთ, კარამზინი, ალბათ, „განათლებული კლასის“ წარმომადგენელი უფროა, ვიდრე დისიდენტთა და რევოლუციონერთა წინამორბედი „ინტელიგენტი“. პუშკინი სადღაც შუაშია ამ ორ სოციალურ-იდეოლოგიურ ფენომენს შორის, ჩაადაევი კი ბელინსკისეული ინტელიგენტის თავისებური საწყისია. თანდათანობით იმპერატორის/ცარისტული სისტემის მიმართ ლოიალურობასა და ოპონენტობას შორის სხვაობა სულ უფრო მკვეთრი ხდებოდა. ამიტომაც გაყვეს ბერდიაევმა თუ სტრუვემ „განათლებული კლასი“ და „ინტელიგენცია“ ერთმანეთისაგან. ასეთი რაკურსიდან თუ შევხედავთ, „ინტელიგენტი“ ჯერ ხალხში გასულ ე.წ. ხალხოსნებთან უნდა დავაკავშიროთ, მერე კი რადიკალებთან, რევოლუციონერებთან, ბოლშევიკების ელიტასთანაც კი. თუმცა ბო-

5 Definition of „intelligentsia“. https://www.collinsdictionary.com/us/dictionary/english/intelligentsia (20.01.2023)

ლშევიკებმა არ მიიღეს ეს მიდგომა. მაქსიმ გორკისთან პოლემიკაში, ლენინმა ძველ ინტელიგენციას „ხალხის განავალიც“ უწოდა და ახლის შექმნით დაიქადნა. მაგრამ ეს ცალკე ისტორიაა.

მიუხედავად იმისა, მივიღებთ თუ არა განათლებული კლასის და ინტელიგენციის დაშორიშორების თეზისს, ცხადია, რომ სიტყვის დიდოსტატებს შესწევთ უნარი, პოლიტიკოსების გეგმებს და მოქმედებებს ან დამაჯერებლობა შემატონ, ან პირიქით, დაასუსტონ ისინი. ჰოდა, იმის მიუხედავად, ვის ჩავთვლით ინტელიგენტად და ვის არა, რუსული კულტურის რეზერვუარი – პოეზია და პროზა – უკანასკნელ დროებამდე იმპერიალიზმის სულისკვეთების შემავსებელი იყო. ზემოთ ნახსენებ სამეულში შემავალი, რუსული იდენტობის ქვაკუთხედად ქცეული პუშკინის ქმნილებები ამის დადასტურებაა. ამ, მართლაც, ნიჭიერი პოეტის გატაცება იმპერიული იდეით არ ამოიწურება 1831 წელს დაწერილი ლექსით „რუსეთის ცილისმწამებლებს.“ მას ხიბლავდა როგორც ექსპანსია კავკასიაში, ისე პოლონეთის ამბოხებულთა მარცხი, თუმცა კი განიცდიდა ადამ მიცკევიჩთან მეგობრობის დასრულებას. ამასთან, პუშკინს არ ეტყობოდა ქსენოფობია, საითკენაც ნელ-ნელა დაიძრა რუსეთის განათლებული კლასი/ინტელიგენცია.

წამყვან რუს მწერლებსა და პოეტებს აღმოსავლეთით აღფრთოვანება ახასიათებდათ. კავკასია მათთვის ადამიანური ვნებების სამყარო იყო. შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ მიხაილ ლერმონტოვის „მწირი“ და „დემონი“, ლევ ტოლსტოის „კავკასიის ტყვე“ თუ „ჰაჯი მურატი“ ე.წ. კოლონიალური შეხედულებების გამოვლინებებია, თუმცა ეგებ უფრო რბილი და მორცხვი, საკუთარი ცივილიზაციის კრიტიკული შემფასებელი, ვიდრე, ვთქვათ, რედიარდ კიპლინგის შემოქმედება. მაგრამ ქსენოფობია, ანუ უცხოს მიუღებლობა, აქ არ ჩანს. მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ორივეს კავკასია მაინც რუსული იმპერიის ნაწილად ყოფნისათვის განწირული ეგონა: მისი უფრო მოდერნისტული სამხრეთი არანაირად არ ავლენდა ურჩობას, ჩრდილოეთის გვაროვნული ტრადიციები ალტერნატიულ პოლიტიკურ სისტემად არ მიაჩნდათ და ეგზოტიკის მეტს, რომელსაც ცივილიზაცია წალეკავდა, მასში ვერაფერს ხედავდნენ, სამაგიეროდ, ამ ორივე ჰუმანისტის დამოკიდებულება იცვლება, როგორც კი საქმე იმპერიის დასავლეთ სანახებს ეხება. მათში უცხოს უარყოფის ტრიგერად ისევ პოლონეთი მოჩანს.

მთელი განსახილველი პერიოდის მანძილზე, ანუ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, პოლონეთი რუსთათვის კონცეპტუალურ და გეოპოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენდა. 2005-6 წლებში პოლონეთის მთავრობის წევრის, პიოტრ კულპას თქმით, მოსკოვის სამთავროს აღზევების შემდეგ რუსეთს ევროპულ საქმეებში მონაწილეობა სურდა, მაგრამ ამას წინ ეღობებოდა პოლონეთი. „თუ რუსეთი ევროპის მოთამაშეა, პოლონეთისათვის, ისევე როგორც უკრაინისათვის, ადგილი არ რჩება... რუსეთი არ აღიქვამს არც პოლონეთს და არც უკრაინას ქვეყნებად, რომელთაც დამოუკიდებლობის უფლება აქვთ“ (დარჩიაშვილი 2022). ასე იყო თუ არა მე-16-17 საუკუნეებში, ცალკე ისტორიული ანალიზის საკითხია. მე-19 საუკუნემ კი უდავოდ სწორედ ასეთი შეხედულება გააბატონა. ამას ემატებოდა ევროპასთან ცივილიზაციური დაპირისპირების განცდის ფორმირება, რამაც ნიკოლოზ პირველის ეპოქაში ალექსანდრე პირველის ევროპეიზმით შეფერილი იმპერიულობა ჩაანაცვლა. ანტიევროპელობას, მესამე რომის იდეის პოლიტიზაციას, სლავურ-მართლმადიდებლურ ცივილიზაციაზე სწორებას არც ალექსანდრე მეორის რეფორმატორულმა სულისკვეთებამ დააკლო რამე. მის მეფობას დაემთხვა ნიკოლაი დანილევსკის ისტორიოსოფიის გაჩენა,

რამაც ინტელექტუალური წვლილი შეიტანა სლავოფილთა იდეოლოგიის ფორმირებასა და, შემდგომ უკვე, ევრაზიელობის წარმოშობაშიც.

დანილევსკი (სხვათა შორის, იგი თბილისში გარდაიცვალა) ამტკიცებდა, რომ დასავლეთს სძულს რუსეთი და რუსეთს ბევრი არაფერი აკავშირებს მასთან. პოლონელი ისტორიკოსი ანჟეი ნოვაკის შეფასებით, 1869 წელს გამოცემული მისი „რუსეთი და ევროპა" „ცივილიზაციური პლურალიზმის" მანიფესტი იყო: იგი ქადაგებდა სლავურ კავშირს, რომელშიც რუმინელები, უნგრელები და ბერძნებიც უნდა შესულიყვნენ (Nowak 2008, 30).

დანილევსკის შეხედულებათა ტირაჟირებას ლერმონტოვი ვერ მოესწრო, ლევ ტოლსტოი კი იგონებს, რომ მას რუსული იმპერიული ნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდნენ და ეს სწორედ პოლონელებისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში აისახებოდა. იმპერიის იდეა სულ უფრო ასოცირდებოდა სლავურ-მართლმადიდებლური ერთობის ქადაგებასთან, პუშკინისეული მეტაფორა „სლავური ნაკადულების რუსულ ზღვაში ჩაღვრის" შესახებ პროგრამად იქცეოდა, რომელშიც კათოლიკური პოლონეთი ლათინური კულტურის მატარებელი „სლავობის იუდას" იარლიყს იძენდა. ასეთი იყო ყირიმის ომის შემდეგ რუსეთში შექმნილი ე.წ. სლავური კომიტეტების სულისკვეთება. 1863 წლის იანვრის აჯანყება ვარშავაში ამ დომინანტ გუნება-განწყობას მხოლოდ აძლიერებდა. სლავური კომიტეტები ეკონტაქტებოდნენ ამ წარმომავლობის ყველა თემის წარმომადგენლებს, გარდა პოლონელებისა. საინტერესოა, რომ როდესაც 1877 წელს იმჟამინდელ ავსტრო-უნგრეთში შემავალი კრაკოვის 196-მა მკვიდრმა (მათ შორის უკრაინელი წარმომავლობის პოლონიზირებული არისტოკრატებიც იყვნენ) პეტერბურგის სლავურ კომიტეტს წუხილებით, იმავდროულად კი იმედებით აღსავსე წერილი რუსულ ენაზე მისწერა, პასუხი არ ყოფილა. კომიტეტმა წერილი იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს გადასცა, რომელმაც მისი გამოქვეყნება მიზანშეუწონლად მიიჩნია (Tanty 2002, 41-47). ამ იმპერიული ქედმაღლობის კონტექსტში ჯდებოდა ათწლეულებით ადრე პუშკინის თუ იმავე ლერმონტოვის ნათქვამი პოლონელებზე. ეს უკანასკნელი ერთ-ერთ ეპიგრამაში მიანიშნებდა, რომ პოლონელი თვალთმაქცი იყო (დარჩიაშვილი 2022).

სლავოფილობა თუ პანსლავიზმი არ იყო რუსული იმპერიალიზმის ერთადერთი იდეოლოგიური სამოსელი. ლევ ტოლსტოიც ვერ მიეწერება ამ მიმდინარეობას. თანაც, მშვიდობასა და ბოროტებასთან დაპირისპირების უარისმყოფელი ეს გლობალური მასშტაბის მოაზროვნე მოგვიანებით თავის ანტიპოლონურ აღზრდასაც ღიად გაემიჯნა, როგორც ამას პოლონელი ლიტერატურათმცოდნე მარია დომბროვსკა წერდა (Домбровская 2021). მაგრამ დომბროვსკას შეფასებები იმდროინდელია, როდესაც სტალინი რკინის ხელით ჭედდა ახალ რუსულ-პოლონურ კომუნისტურ „ძმობას". ნაციზმისგან თავდახსნილი და გერმანიის ხარჯზე დასავლეთით გაფართოებული ახალი პოლონეთის მოაზროვნეთა ნაწილი მაშინ ამით კმაყოფილიც იყო და გულწრფელად ეგუებოდა კატინის ტყეში პოლონელი ოფიცრების მასობრივ დახვრეტებზე პასუხისმგებელ დიქტატორს. თან კატინის ისტორია მაშინ მაქსიმალურად იყო მიჩუმათებული. თუმცა ეს სხვა თემაა. ხოლო რაც შეეხება ტოლსტოის, ვფიქრობ, ნიშანდობლივი 1909 წელს დაბეჭდილი მისი წერილია, რომელსაც ერქვა „პოლონელ ქალს".

ტოლსტოი პასუხობდა მკითხველს, რომელიც მისგან პოლონელების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მხარდაჭერას ითხოვდა. ამ პასუხში იყო მისი ფილოსოფია, რომელიც, მისდაუნებურად, ისევ იმპერიის წისქვილზე თუ დაასხამდა მოცემულ კონტექსტში წყალს. ტოლსტოის კრედოა: ყველა უნდა იყოს თავისუფალი ძალადობისაგან ძალადობაში

არმონაწილეობით; აქცენტის გადატანა იმაზე, თითქოს რუსი მჩაგვრელია და უნდა გაუსწორდე, არასწორია; პოლონელებზე გერმანელები, რუსები თუ ავსტრიელები იმიტომ მბრძანებლობენ, რომ პოლონელებს ისეთივე ძალადობა სურთ მათ წინააღმდეგ, რაშიც მათ ადანაშაულებენ; გამოსავალი სიყვარულშია, რელიგიურობაშია და სლავებს, რომელნიც სხვებზე ნაკლებ მილიტარისტულნი არიან, ამის გააზრების განსაკუთრებული პოტენციალი აქვთ. ამ წერილის შავ ვარიანტში ტოლსტოი იმასაც ამბობდა, რომ იმპერიის წინააღმდეგ „პოლონეთი ჯერ არ მომკვდარა“-ს (პოლონური ეროვნული ჰიმნის სიტყვები – დ.დ.) ძახილით გამოსვლა და არსებულის დანგრევის მცდელობა ჭიაღუების სპილოს წინააღმდეგ ლაშქრობას ჰგავს, გამოსავალი კი ყველა მხარის წარმომადგენელთა პასიურ დაუმორჩილებლობაშია.[6] კომუნისტური რუსულ-პოლონური ოფიციოზი, ალბათ, ამ წერილშიც ძმობის ინსპირაციას დაინახავდა, მაგრამ საბჭოთა ისტორიამ საპირისპირო დაადასტურა – ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის დაგმობა, საბოლოო ჯამში, ისევ იმპერიულ იდეას უმაგრებდა საფუძველს.

ბევრად უფრო ქსენოფობად მოჩანდა რუსული ლიტერატურული ხელოვნების „ოქროს საუკუნის“ კიდევ ერთი წარმომადგენელი, ფეოდორ დოსტოევსკი. „საიდან ამ დიდ მწერალს ასეთი პოლონოფობია?“ – კითხულობდა პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატორი იგორ ბელოვი დოსტოევსკიზე (Белов 2019). შესაძლოა, დოსტოევსკის ისე არ შესტკიოდა გული რუსულ ძერჟავაზე, როგორც პუშკინს მისი შემოქმედების მეორე ნახევარში, მაგრამ მას პოლონელებისადმი აგდებული დამოკიდებულების თავისი ლოგიკა შეემუშავებინა. ბელოვი წერს, რომ 1863 წელს დოსტოევსკიმ პირველად იმოგზაურა ევროპაში, სადაც პოლონელებისადმი სიმპათიას, რუსებისადმი კი ზიზღნარევ დამოკიდებულებას წააწყდა. ცუდად დაუმახსოვრებია მას პოლონელები კატორღაში ყოფნისასაც, სადაც ეს უკანასკნელნი თურმე „არაფერს ინანიებდნენ“. „პოლონელებს ისე ვძულვართ, როგორც ველურები“ – სწერდა დოსტოევსკი ტურგენევს – „ისე ამაყობენ თავიანთი ევროპული ცივილიზაციით, რომ ჩვენი და მათი ზნეობრივი შერიგება ხანგრძლივი დროითაა შეუძლებელი“.

ბელოვი მიიჩნევს, რომ დოსტოევსკის ნაწარმოებებში პოლონელების კარიკატურული პორტრეტების არსებობა მისი ამგვარი დამოკიდებულების შედეგია; რომ პოლონელები უარყოფით კონტექსტში ჩანან ჩეხოვთანაც და გორკისთანაც. იყო კიდევ ერთი რუსი, ნაკლებად რეზონანსული მწერალი, ვინც ადამ მიცკევიჩს პარიზში 1847 წელს შეხვდა და უშუალოდ მისგან იგრძნო ანტირუსული ფლუიდები. ესაა ჰერცენი. მაგრამ ამ უკანასკნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თავისი უფრო სახელოვანი თანამემამულეებივით არ გაფხორილა: „სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როდესაც „ცარს“ და მის სატრაპებს საშინელებები ჰქონდათ დატრიალებული“, წერდა ჰერცენი ამ შეხვედრის შთაბეჭდილებებზე.

ზემოთ ვთქვი, იმპერიულ, პანსლავისტურ თუ სლავოფილურ მისწრაფებებს სრულად არასოდეს ჰქონიათ მონოპოლიზებული რუსული მაღალი კულტურა. „ინტელიგენციის“ 100% ვერასოდეს ჩაითვლებოდა თუნდაც პოლონეთის დამოუკიდებლობის კატეგორიულ მოწინააღმდეგედ. როგორც დეკაბრისტების ნაწილი, ისე უფრო გვიანდელი რუსული რადიკალურ-რევოლუციური წრეების წარმომადგენლები არაერთხელ შესულან მოლაპარაკებებში პოლონეთის პატრიოტულ ძალებთან. მაგრამ, როგორც წესი, ეს ტაქტიკური თანამშრომლობის ნიმუშები იყო და ჰერცენი მეტ-ნაკლებად მარტო დგას თავის პოლონოფილობაში. მე-20 საუკუნეში იმპერიაში შექმნილ კვაზი-პარლამენტში, ე.წ. სახელმწიფო

6 ВАРИАНТЫ «ОТВЕТА ПОЛЬСКОЙ ЖЕНЩИНЕ». http://tolstoy-lit.ru/tolstoy/chernoviki/varianty-otveta-polskoj-zhenschine.htm (20.01.2023)

სათათბიროში პოლონელ ავტონომისტ დეპუტატებს გულწრფელი სიმპათიით მარტო ზოგიერთი სხვა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები თუ უმზერდნენ. მეტად რთულად ვითარდებოდა მათი ურთიერთობა პლურალისტური რუსული პოლიტიკური კლასის ყველაზე უფრო პროდასავლურ პარტია „კონსტიტუციურ დემოკრატებთანაც". თუნდაც 1815 წელს შექმნილი და გარკვეული საერთაშორისო გარანტიის მქონე პოლონეთის სამეფოს ავტონომიურობის აღდგენას ისინიც ეწინააღმდეგებოდნენ. მოლაპარაკებები პოლონურ ფრაქციასა და „კადეტებს" შორის მხოლოდ განათლების რეფორმაზე აღმოჩნდა შესაძლებელი (Szwarc and Wieczorkiewicz 2002). ეს არც იყო გასაკვირი, რადგან რუსეთის იმპერიის კრიზისის ამ პერიოდში ლიტერატურის „ვერცხლის საუკუნის" ერთ-ერთი ყველაზე აპოლიტიკური პოეტი, ალექსანდრე ბლოკიც თავის ცნობილ ლექსში მითოლოგიზირებული კულიკოვოს საბრძოლო ველზე მდგომ მეომრად აღიქვამდა თავს.

ბოლშევიზმმა რუსული იმპერიული იდეის სპეციფიკური ტრანსფორმაცია მოიტანა, რომლის დეტალებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ანჟეი ნოვაკის შეფასება მგონია საყურადღებო, რომლის თქმით, ეთნონაციონალიზმისაგან დაშლილი და მსოფლიო რევოლუციაზე გულწრფელად მეოცნებე პირველი ბოლშევიკები, ნელ-ნელა, გეოპოლიტიკისა თუ ძალაუფლების შენარჩუნების ლოგიკით, ისევ იმავე ნაციონალური უმცირესობების რეინტეგრაციას დასჯერდნენ და განსაკუთრებული მტრობით აღივსნენ დროებით თავდახსნილი პოლონელების მიმართ. მაღალი კულტურის პიედესტალიდან ამ მტრობას წყალს მაიაკოვსკის „პასპორტი" და კარიკატურები უსხამდა.

აქ აღარც სტალინის მიერ უპრეცედენტოდ გაფართოებული წითელი იმპერიის სახელმწიფო თუ ლიტერატურულ დისკურსზე გავაგრძელებ სიტყვას. ამ ეპოქაში მთავარი, ალბათ, ის იყო, რომ ოფიციალურ დონეზე ყველაფერი „ხალხთა ძმობის" და „რუსი დიდი ძმის" საბურველში იფუთებოდა, რუსული ემიგრაცია „ევრაზიული ცივილიზაციის" კონცეფციას ავითარებდა, კომუნისტებისაგან მეტ-ნაკლებად დისტანცირებული მწერლები კი ზოგჯერ სლავოფილურ ინტონაციებს ავლენდნენ – ყოველ შემთხვევაში, ნონ-კონფორმისტული ლიტერატურა იმპერიის თემას არ ეხებოდა, თუ არ ჩავთვლით ინტელიგენციის არაკომუნისტური ნაწილის სიმპათიას იმჟამად უკვე კომუნიზმთან მებრძოლი ჩეხების თუ პოლონელების მიმართ. იმპერია, როგორც ტერმინი, აღარ ტირაჟირდებოდა, თუმცა სსრკ-ს საზღვრების პრობლემურობა თუ ფეთქებადი ხასიათი რუსული ლიტერატურის თემა არ იყო. იმპერიის საკითხი ინტელექტუალურ დისკურსში გორბაჩოვისეულმა „საჯაროობამ" და სსრკ-ს რღვევამ დააბრუნა.

გასული (თუ ვითომ გასული) საუკუნის 90-იანმა წლებმა რუსეთის აზრთა მპყრობელები ისევ იმპერიული იდეის გაცოცხლებამდე მიიყვანა. ეს არ ეხება მხოლოდ ისეთ მიზანტროპულ პერსონაჟებს, როგორიც ალექსანდრე დუგინია ან აწ გარდაცვლილ მაქციასა და კლოუნს, ვლადიმერ ჟირინოვსკის. ვფიქრობ, დამაჯერებლად წერს რუსული იდეოლოგემების მკვლევარი ანჟეი ნოვაკი, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევამ რუსეთში იდენტობის კრიზისი მოიტანა. მასობრივი ეკონომიკური გაჭირვება და ის ფაქტი, რომ რუსულ საზოგადოებას ერი-სახელმწიფოს ფორმით არსებობის გამოცდილება არ ჰქონდა, ისევ იმპერიული იდეის ისტორიული წიაღისკენ ინტელექტუალური მიბრუნების ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა (Nowak 2008). ნოვაკის ხედვით, წითელ-ყავისფერი „მარგინალები" (რომლებიც ელცინის ეპოქის მეტ-ნაკლებად დემოკრატიულ არჩევნებში ხმების მესამედს მაინც იღებდნენ) საბჭოთა ნოსტალგიით იყვნენ შეპყრობილნი ან/და „მესამე რომის" იდეის რეინტერპრეტაციას ცდილობდნენ. პროცესებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა „ევრაზიანელობის"

ასევე ძველი, ემიგრანტული იდეით გატაცებული დუგინი. „ისტებლიშმენტმა“ კი ლიბერალიზმისა და იმპერიალიზმის მორგებისაკენ გაიწია და, პანარინისეული „მეორე რომის“ კონცეპტს გაუხსნა გულისკარი.

ალექსანდრე პანარინი, რომელმაც საბჭოური ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა და თეორეტიკოს პოლიტოლოგად ჩამოყალიბდა, ანჟეი ნოვაკისათვის მე-20-21-ე საუკუნეების ყველაზე საინტერესო რუსი იმპერიალისტია. მას მიეწერება „რუსეთი – მეორე რომის“ იდეა, რაც გულისხმობდა რუსეთის ამერიკასთან („პირველ რომთან“) პარტნიორობასა და მისგან აღმოსავლეთში ევროპული მოდერნიზმის ავტონომიურად გამავრცელებლის ექსკლუზიური უფლების მიღებას. პანარინი აკრიტიკებდა დუგინის ანტიდასავლურობას, ოღონდ იმ პირობით, რომ კრემლს ფუკუიამასეული „ისტორიის დასასრულის“ მოდარაჯე ძაღლის უფლება მიეღო და „ეთნოკრატიები“ გაეკონტროლებინა (Ibid 217-218). სადამდე ვრცელდებოდა მისეული პრეტენზია აღმოსავლეთში, ეს ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ ყოფილი საბჭოთა სივრცე ნამდვილად მოსკოვის დაფარვის ზონად მიაჩნდა.

არსებითად, ელცინის მთავრობისეული „ახლო სამეზობლოს“ და ადრეული პუტინის „ლიბერალური იმპერიის“ (ტერმინი ამ ორი პოსტ-საბჭოთა პრეზიდენტის დამაკავშირებელ ცნობილ მაღალჩინოსანს, ანატოლი ჩუბაისს მიეწერება) ოფიციალური კონცეპტები ერგება პანარინის ხედვებს. ანჟეი ნოვაკი ადრეული პუტინის პოლიტიკას პანარინის იდეოლოგემებით ხსნის. თუმცა, „პანარინისზმის“ არაადეკვატურობის ვიზუალურ მეტაფორად შეიძლება 2010 წლის დეკემბერში პუტინის მიერ ჰოლივუდის ვარსკვლავების წინაშე Blueberry Hills-ის შესრულება გამოდგეს. ამ დროისათვის დასავლეთთან ურთიერთობები იმპერიალიზმის მესამე წრეზე წასულ კრემლს უკვე საგრძნობლად დაეძაბა, თუმცა ამ გიგანტური ქვეყნის რაღაცნაირი ლიბერალიზაციის იმედები ჯერ ბოლომდე დაკარგული არ იყო.

მაგრამ როგორც ანა აპელბაუმი წერს, რუსული იმპერიული მსოფლმხედველობა ავტოკრატიის წყაროა (Appelbaum 2022). ლიბერალიზმი ასეთ ვითარებაში გამოირიცხება და პუტინი კი არა, ინტელექტუალი პანარინიც ბოლოს მესამე რომის კონცეპტისაკენ, ანუ დასავლეთთან და ლიბერალიზმთან დაპირისპირებისაკენ შეტრიალდა. დუგინის ვარსკვლავმა გაბრწყინება დაიწყო. ამ ცვლილების ტრიგერი უკრაინის პროდასავლური „ნარინჯისფერი“ რევოლუცია გახდა – პოლონეთი, როგორც ისტორიული გამაღიზიანებელი და ექსპანსიონიზმის მუდმივი სამიზნე, რუსებმა თითქოს მიივიწყეს. ეს ფაქტი შეიძლება იმპერიის სასიკვდილო ჭრილობის ნიშნად მივიღოთ, როგორც მითითება მის გარდაუვალ დაკნინებაზე. ოღონდ იმ დაშვებით, რომ დრაკონი სიკვდილის წინაც იქნევს კუდს.

რაც შეეხება შემოქმედებით ელიტას, ნიშანდობლივი ლიტერატურაში ნობელის პრემიის ლაურეატის იოსიფ ბროდსკის შემთხვევა მგონია. მისი ჯერ კიდევ 1992 წელს დაწერილი ლექსი „უკრაინის დამოუკიდებლობაზე“ „პოლონელ-გერმანელებისაკენ წასულ“ უკრაინელთა ზურგში მიწყევლებასავით ჟღერს – პოეტი თითქოს უშვებს მათ, მაგრამ როგორც 2022 წლის 9 ივლისს „ნოვაია გაზეტა – ევროპა“-ში წერდა ეკატერინა მარგოლისი, ამ ლექსში იგრძნობოდა მეტაფორულ-ლინგვისტური კოლონიალიზმი, რომელიც ბროდსკის ახმატოვას გავლით რუსული ლიტერატურის „ვერცხლის საუკუნიდან“ ჰქონდა შესისხლხორცებული.

და 2022 წლის 24 თებერვალს დადგა ჟამი რუსული ინტელიგენციის/განათლებული კლასის გამოფხიზლებისა. დაიწყო იმპერიალიზმისაგან განკურნების უპრეცედენტო პროცესი, რადგან თუ პოლონეთის „გაშვება“ იმედის აღმძვრელი იყო, უკრაინასთან გამომშვიდობე-

ბით ინგრევა იმპერიის მთავარი იდეური ნიშანსვეტი „მესამე რომის“ და „კიევი რუსული ქალაქების დედაა“-ს სახით. კრიტიკულად მოაზროვნე რუსების იმპერიული ილუზიების დაცხრობა, ან, უფრო სწორად, ამ ამბიციათა დამღუპველობაზე დაფიქრება უკრაინასთან ომმა, განსაკუთრებით კი მისმა მასშტაბმა შეიტანა. პუტინს ეს არ ესმის და მომხრეც ჯერ კიდევ ბევრი ჰყავს, მაგრამ როგორც საერთაშორისო დონეზე აღიარებული საგამოძიებო ჟურნალისტი, ბულგარელი ხრისტო გროზევი ამბობს, „რუსული ინტელექტუალური ელიტის თითქმის ყველა წარმომადგენელი უცხოეთშია და ამ ომის წინააღმდეგია, მე ვერ ვხედავ იმპერიულ აზროვნებას მათში.“[7]

გროზევთან დათანხმება ბევრი მოწმობით შეიძლება. მოვიყვან მხოლოდ ორს: 2022 წლის 17 მარტს სამეცნიერო ჟურნალის T-инвариант-ის საიტზე გამოქვეყნდა განათლებული კლასის ათასობით წარმომადგენლის ხელმოწერილი განცხადება, რომ ეს ომი მხოლოდ რუსეთის პასუხისმგებლობაა, იგი გეოპოლიტიკური ამბიციების თუ საეჭვო ისტორიოსოფიული ფანტაზიების გამო მიმდინარეობს.[8] 2022 წლის 24 ივნისს საკმაოდ პოპულარული რუსი მწერალი ლიუდმილა ულიცკაია კი აკეთებს დასკვნას: „ვგრძნობ, რუსეთის დიადი პროექტი სრულდება. არქაული სქემები, რომლებზეც რუსეთია ჩამოკიდებული, დავიწყებას მიეცემა.“[9]

რა თქმა უნდა, ავტორიტარულ რუსეთში ტელევიზია 99%-ით ხელისუფლებისაა და მისი თოქ-შოუები კრემლის მომხრეებს აქვთ მონოპოლიზებული. ბოლო დროს, მათშიც შეინიშნება დაბნეულობა, თუმცა ამ ესეის თემა არა ისინი, არამედ ისაა, რომ იმპერია უპრეცედენტოდ კარგავს მომხრეებს განათლებულ კლასში. ვისაც მაინც აფიქრებს მწერალთა, მსახიობთა თუ მომღერალთა კვლავ მიმდინარე გამოსვლები პროპუტინურ თუ პატრიოტულ აქციებზე, ვფიქრობ, უნდა მოვუსმინოთ დიმიტრი ბიკოვს, რუს მწერალს და ლიტერატურის კრიტიკოსს, რომელიც ამის მიზეზს ქვეყნიდან წასულ ნიჭიერებზე ნაკლებ ნიჭიერთა შურისძიების მცდელობაში ხედავს. ასეც რომ არ იყოს, ეს პროცესია – იმპერიული ვირუსი ყველას მყისიერად არ და ვერ დატოვებს. მაგრამ ნავსი გატეხილია.

რჩება ერთი საკითხიც – სადამდე უნდა მივიდეს იმპერიის რღვევა. ამ მხრივ მზარდ ლიბერალურ წრეებში თანხმობა არ არსებობს. ყირიმის უკრაინისათვის დაბრუნებაზე თანხმობა უკვე კარგ ტონად ითვლება, მაგრამ ის, რაც საერთაშორისო სამართლითაც რუსეთია, მისი მომავალი ცალკე განსჯის არაერთმნიშვნელოვანი თემაა. ანტი-იმპერიალისტების მზარდი ბანაკი რეალურ ფედერალიზმზე აკეთებს ორიენტაციას. გასაგებია. მთავარი ისაა, რომ კრემლს საბოლოოდ ეცლება მეზობლების საშინაო საქმეებში იმპერიული ჩარევის არა მხოლოდ მატერიალური, არამედ მორალურ-ინტელექტუალური საყრდენებიც. ეს არ მოიტანს სწრაფ შედეგს: კრიტიკული აზროვნების უნარი რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს ჯერაც არ გამოუვლენია – ჯერ კიდევ ბევრს სჯერა, რომ რუსეთს დაესხნენ თავს და არა პირიქით. მაგრამ მხოლოდ ასეთთა იმედზე ყოფნა და მართვა განწირულია – მით უმეტეს, როცა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობაც მათი მმართველის პოლიტიკის წინააღმდეგია. განათლებული კლასის მხარდაჭერა თუ მისი არ-

7 ПИОНТКОВСКИЙ: позорище путин сошел с ума, покушение на патрушева. 24 Канал, 20 July, 2022. https://www.youtube.com/watch?v=20mZ42gg5Lo (20.01.2023)

8 Open letter of Russian Scientists and science journalists against the war with Ukraine. t-invariant.org, 24.02.2022. https://t-invariant.org/en/2022/02/we-are-against-war-en/?fbclid=IwAR1-120hFWil_YrnFrBQ6lihpMd-Jiqq2UDHrAt01KMf_BpkIoKkM-osaWGo (20.01.2023)

9 Людмила Улицкая: Великий проект «Россия» идет к завершению / ВДОХ-ВЫДОХ. Ходорковский LIVE, 24 June, 2022. https://www.youtube.com/watch?v=FnCeGevQu8o (20.01.2023)

ქონა, ცალკე აღებული, პანაცეა არაა. მაგრამ სხვა ფაქტორების ხელსაყრელი განლაგების შემთხვევაში, იგი უმნიშვნელოვანესი ცვლადია.

***

ზემოთ აღწერილი სურათი ორი სათქმელის გადმოცემას ემსახურება: 1. ნებისმიერ პოლიტიკას, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის მმართველები ახორციელებენ, სჭირდება იდეოლოგემები, გამართლებები თუ რაციონალიზაციები. მათ მხოლოდ პრეზიდენტები, მით უმეტეს, გენერლები ვერ შექმნიან, რადგან პოლიტიკათა, ისევე როგორც მათი განმახორციელებლების ლეგიტიმაციას, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული „ეპისტემური თემის" მხრიდან, ლეგიტიმაცია ესაჭიროება. ამას განაპირობებს როგორც მსოფლიოს კულტურულ-ინსტიტუციური კონტექსტი, რომელიც საერთაშორისო სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათ მიერ ნაქადაგები ნორმების/ღირებულებებისაგან შედგება, ისე ე.წ. განათლებული კლასისა თუ ინტელიგენციის როლი საზოგადოებაში. სწორედ ეს განათლებული კლასი/ინტელიგენციაა ის ნახევარგამტარი, რომელიც საერთაშორისო წრეებსა თუ ეროვნულ მთავრობებს ფართო მასებთან აკავშირებს. არსებითად, შემოქმედებითი ელიტა, ისევე როგორც სხვადასხვა დონის პედაგოგებისაგან თუ მედია-მუშაკებისაგან შემდგარი მისი „მეორე ეშელონი" თამაშობს საერთაშორისო თუ ეროვნული მასშტაბის პოლიტიკური ტენდენციების თანადამფუძნებელ და მალეგიტიმიზირებელ როლს.

რა თქმა უნდა, ადამიანთა ეს კლასი მეტად შორსაა პროცესების ექსკლუზიური წარმმართველის პოზიციიდან და ხშირად მისი დანახვა, მისთვის როლის მინიჭება ჭირს კიდეც ბიზნეს, სამხედრო თუ პოლიტიკური ელიტების გვერდით. მაგრამ კაცობრიობა ისეა მართულ-მოწყობილი, რომ მასშტაბურ ქმედებათა განხორციელებას „პოეტებიც" სჭირდება: მათი ფუნქციაა მასების აღფრთოვანება, მერკანტილური იმპულსების მიღმა გატანა და იდეოლოგიური პრეფერენციების ფორმირება. და ამ ფუნქციის აღსრულებას პოლიტიკური კლასი მხოლოდ შეზღუდული ნიჭის მედროვეებით დიდხანს ვერ აუვა: საჭიროა „ეპისტემური თემის" მეტ-ნაკლებად თვალში საცემი ნაწილი მაინც უჭერდეს მის განზრახულობებს მხარს. ვფიქრობ, ასეთი შეხედულება მყარდება როგორც ელიტების თეორიებით, ისე საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალური და კონსტრუქტივისტული ხედვებით. თუ იდეებს აქვს მნიშვნელობა, ასევე მნიშვნელოვანია მათი გენერატორებისა და დამასაბუთებლების როლიც. საბოლოო ჯამში, როგორც მოქალაქეებს, ისე ქვეშევრდომებს, რომლებიც „საჭირო შემთხვევაში" საზარბაზნე ხორცად ქცევას უნდა დათანხმდნენ, ისინი ზრდიან.

2. რუსული განათლებული კლასისა და ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ნებსით თუ უნებლიედ, ყოველთვის იმპერიული პოლიტიკის სადარაჯოზე იდგა. პარადოქსია, მაგრამ რუსეთის სამღვდელოებასთან თუ შინნაზარდ, მეტ-ნაკლებად ევროპეიზებულ ისტორიკოსებთან ერთად, იმპერიის ერთ-ერთ კლასიკურ მშენებელს, ალექსანდრე პირველს იმპერიალიზმის გათანამედროვეობა-გაკეთილშობილების იდეებს მისივე მსხვერპლი პოლონური საზოგადოების საკმაოდ გამორჩეული ინტელექტუალები, იან პოტოცკი და ადამ იერჟი ჩარტორისკი აწვდიდნენ. პირველი, მწერალი და ეთნოგრაფი, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, „ორიენტალიზმის" პოლონური ვერსიის კოლორიტული წარმომადგენელი (Lewis 2021), თავისი შემოქმედებით იზიდავდა პეტერბურგის მაღალ საზოგადოებას. ამასთან, იგი ჯერ

კიდევ დამოუკიდებელი რჟეჩპოსპოლიტას ბოლო წლებში ქადაგებდა, რომ პოლონეთის მსგავს რესპუბლიკურ სახელმწიფოებს იმპერიული მფარველები სჭირდებოდა და რუსეთს პოლონეთთან მიმართებაში ისეთივე როლი უნდა ეკისრა, როგორც ბრიტანეთს ჰოლანდიასთან მიმართებაში ან საფრანგეთს შვეიცარიასთან მიმართებაში. 1806 წელს იგი ალექსანდრე პირველს რჩევებს უგზავნიდა, თუ როგორ განვრცობილიყო იმპერიული ცივილიზაცია შუა აზიასა თუ კავკასიაში (Nowak 2008, 66; 105). მეორე, რაღაც დროით, იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო, ისე ეიმედებოდა რუსეთის ლიბერალიზაცია და პოლონეთისათვის ავტონომიურობის არსებითი უფლებების გამოთხოვა.

საბოლოო ჯამში, პეტერბურგი პოლონელ ლოიალისტებსაც ჰკრავდა ხელს. ამას უშუალოდ რუსი ინტელიგენციაც ითხოვდა. სწორედ ევროპელობასთან ყველაზე ახლო მდგომ ამ ერთიან დაპირისპირებაში იშვა ალექსანდრე პირველის მემკვიდრისა და ძმის, ნიკოლოზ პირველის დროინდელი იმპერიული ფორმულა „თვითმპყრობელობა, მართლმადიდებლობა, ხალხურობა". მისი ავტორობა მიეწერება იმჟამინდელ განათლების მინისტრს, გრაფ სერგეი უვაროვს, რომელიც, სხვაფრივ, გოეთესთანაც მეგობრობდა და, თავად მეცნიერი, აკადემიურ თავისუფლებას სადარაჯოზე ედგა.

როგორც ზემოთ ვცადე ჩვენება, რუსული ინტელიგენციისა თუ განათლებული კლასის წარმომადგენელთა აბსოლუტური უმრავლესობა იმპერიას მუდამ გულშემატკივრობდა. ეს წინააღმდეგობრივი ვითარება იყო, რადგან ამ ადამიანებს შეეძლოთ არ მიეღოთ თვითმპყრობელობა, მოეთხოვათ კანონის უზენაესობის რესპუბლიკური ფორმებიც კი, მაგრამ მათი 99% კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებდა იმპერიული საზღვრებისა თუ საგარეო პოლიტიკური ამბიციების მართებულობას. თავისი სპეციფიკით, მაგრამ არსებითად იგივე გაგრძელდა სსრკ-ს პირობებშიც და ძალიან მალე აღორძინდა პოსტ-საბჭოთა ხანაშიც. ჯერ დემოკრატ, შემდეგ კი კვლავ ავტორიტარიზმისაკენ გადახრილ მმართველებთან ერთად, ინტელიგენტებმაც იმპერიული სათვალეებიდან დაუწყეს ყურება როგორც სსრკ-საგან დარჩენილ რუსეთის ფედერაციას, ისე მეზობელ, აწ უკვე რეალურად თუ ფორმალურად დამოუკიდებელ ყოფილ „მოძმე" რესპუბლიკებს.

ამ მხრივ, თვისებრივი ცვლილება 2022 წლის 24 თებერვალს მოხდა. პირველად რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ისტორიის მანძილზე, მისმა განათლებულმა კლასმა და შემოქმედებითმა თუ სამეცნიერო ინტელიგენციამ აქტიურად დაიწყო იმპერიული აზროვნების ყველა ფორმისა თუ გამოვლინების უარყოფა. ღია საუბარი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე თუ რუსეთის საფუძვლიანი გარდაქმნის (მათ შორის, ტერიტორიული მოწყობისა და შესაძლო დამატებითი ტერიტორიული დანაკარგების) თაობაზე ამის ნიშანია. რა თქმა უნდა, ხელისუფლებაში ისევ იმპერიალისტები არიან და მათ დაქირავებული „მოლაპარაკე თავებიც" არ აკლიათ. მაგრამ საზოგადოების ყველაზე აქტიური და პერსპექტიული ნაწილი სწორედ აღნიშნული მიმართულებით იმაღლებს ხმას – კრემლის რეგიონალური თუ გლობალური ამბიციები მათთვის არათუ საეჭვო, არამედ ღიად მიუღებელი ხდება.

რამ გამოიწვია ეს ცვლილება? ასევე ორმა ფაქტორმა: 1. პუტინის პოლიტიკა არასოდეს მოსულა ამჟამინდელი დონის წინააღმდეგობაში როგორც წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების მმართველთა მოლოდინებთან, სურვილებთან და ინტერესებთან, ისე საერთაშორისო „ეპისტემოლოგიური თემის" ღირებულებებთან. რუსეთის ფედერაცია გარიყულია და ასეთი გარიყვა სსრკ-ს დროსაც არ მომხდარა; 2. ომის სისასტიკე, განსაკუთრებით კი მისი მასშტაბები და ხანგრძლივობა აუტანელი ხდება რუსული საზოგადოების სულ

უფრო ფართო ფენებისათვის თუნდაც იმიტომ, რომ იგი უშუალოდ ემუქრება მათ კეთილდღეობასაც. ამ ფონზე იმპერიულ ლანდებზე გამოდევნება სრულიად მოკლებულია რაიმე რაციონალობას. პუტინის უკრაინული ამბიციების მომხრე უწიგნური/ზომბირებული, მოსყიდული ან აკვიატებული იდეების მქონე ადამიანები შეიძლება კვლავ მრავლად იყვნენ, მაგრამ ეს ცივილიზებულობასთან შეუთავსებელია.

აქედან გამომდინარე, ვვარაუდობ, რომ რეჟიმი განწირულია და რუსეთის დემოკრატიული ტრანსფორმაციის დასაწყისი გარდაუვალია. იგი შეიძლება კიდევ 1-2 წლით შეყოვნდეს – როგორც შინაგანი უკმაყოფილების, ისე უკრაინული არმიის შეჩერების რესურსი პუტინს ჯერ კიდევ აქვს და არა მხოლოდ განათლებული კლასის, არამედ ყველაფერი ამით მეტად დაფიქრებული პოლიტიკური ელიტის მოქმედების შესაძლებლობები შეზღუდულია: როგორც ელცინის დროინდელი მაღალჩინოსანი და პოპულარული ბლოგერი ალბერტ კოხი ამბობს, არ/აღარ არსებობს გამოცდილება, თუ როგორ უნდა დაამხო ტყვიამფრქვევებიანი დიქტატორი. მაგრამ არის სხვა ცნობილი ფრაზაც – ხიშტებზე დიდხანს ჯდომა მოუხერხებელია. პუტინს ეწურება მართვის რაიმე სხვა რესურსი ხიშტების გარდა და შემოქმედებითი ინტელიგენციის თუ განათლებული კლასის მისგან განდგომის შეუქცევადი, უპრეცედენტო პროცესი ამის ერთ-ერთი თვალნათელი მაგალითია.

გამოყენებული ლიტერატურა

დარჩიაშვილი, დავით. 2022. ბლოგ-პოსტი, 22.06.2022, „თუ შეგაქებს – პოლონელი“. https://www.crs.ge/blog-posts/archive/27 (20.01.2023)

Appelbaum, Anne. 2022. The Russian Empire Must Die. *The Atlantic*, November 14, 2022. https://www.theatlantic.com/magazine/archive/2022/12/putin-russia-must-lose-ukraine-war-imperial-future/671891/ (20.01.2022)

Lewis, Simon. 2021. East Is East? Polish Orientalisms in the Early Nineteenth Century. *Central Europe*, 19 (2): 135-152, DOI: 10.1080/14790963.2021.2035639

Luzianina, L. N. 1971. N. M. Karamzin›s History of the Russian State and Pushkin›s Tragedy Boris Godunov (On the Problem of the Character of the Chronicler). *Soviet Studies in Literature*, 8(1): 28-51, DOI: 10.2753/RSL1061-1975080128

Nowak, Andrzej. 2008. *History and Geopolitics: A Contest for Eastern Europe*. Warsaw: PISM

Tanty, MieczysLaw. 2002. Polskie kontakty z panslawistami rosyjskimi po powstaniu styczniowym, str. 41-47, W: Unifikacia za wszelką cene, sprawy polskie w politice rosyjskiej na przełomie XIX wieku, Studia i materialy, pod red. Andrzeja Szawca i Pawła Wieczorskiewicza, Widawnictwo DIG, Warszawa

Szwarc, Andrzej, Wieczorkiewicz, Paweł. 2002. Uwagi o taktice przedstawicielstwa polskiego w II dumie państwowej, W: Unifikacia za wszelką cene, sprawy polskie w politice rosyjskiej na przełomie XIX wieku, Studia i materialy, pod red. Andrzeja Szawca i Pawła Wieczorskiewicza, Widawnictwo DIG, Warszawa

Белов, Игорь. 2019. Дурачье же вы, панове!.. Стереотипы о поляках в русской литературе. Culture.pl. https://culture.pl/ru/article/durache-zhe-vy-panove-stereotipy-o-polyakakh-v-russkoy-literature (20.01.2023)

Домбровская, Мария. 2021. Польша и поляки в произведениях Льва Толстого. https://novaya-polsha.pl/article/polsha-i-polyaki-v-proizvedeniyakh-lva-tolstogo/ (20.01.2023)